

ექისრება თუ არა საწარმოს მიმდინარე გადასახდელების გადახდის ვალდებულება?

▶ საწარმოებს, რომლებიც დაიბეგრებიან ახალი რეჟიმით, არ ექისრებათ მიმდინარე (საავანსო) გადასახდელების გადახდის ვალდებულება. კერძოდ, საწარმო (მაგ. შპს), რომელიც 2017 წლის პირველი იანვრიდან წარმოადგენს მოგების გადასახადის გადამხდელს ახალი რეჟიმის მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის დეკლარაციას, 2017 წლის 1 იანვრამდე არსებული წესის შესაბამისად, 2016 წლის საანგარიშო პერიოდის მიხედვით წარმოადგენს 2017 წლის 1 აპრილამდე, არ იხდის 2017 წელს მიმდინარე გადასახდელებს.

▶ კომერციული ბანკები, საკრედიტო კავშირები, სადაზღვევო ორგანიზაციები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და ლომბარდები, რომლებიც 2019 წლის 1 იანვრამდე იბეგრებიან 2017 წლის 1 იანვრამდე არსებული რეჟიმით, ამ პერიოდში იხდიან მიმდინარე გადასახდელებს. მაგ. აღნიშნული პირები 2017 წელს იხდიან მიმდინარე გადასახდელებს 2016 წლის მოგების გადასახადის მიხედვით.

2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდში მიღებული წმინდა მოგების განაწილება (როგორც მისეველი ან პირს უკვე გადახდილი აქვს მოგების გადასახადი) სომ არ იწვევს მოგების გადასახადით ორჯერ დაბეგრებას?

▶ თუ რეზიდენტი საწარმო დივიდენდს გაანაწილებს 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდებში მიღებული წმინდა მოგებიდან, მას უფლება აქვს, ჩაითვალოს ამ პერიოდების მიხედვით დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადის თანხა, მაგრამ არაუმეტეს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98¹ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული განაწილებული მოგების მიხედვით გადასახდელი თანხისა.

▶ ჩასათვლელი თანხა გამოიანგარიშება ფორმულით – $A \times B / (C - D)$, სადაც: A არის დივიდენდის სახით გაანაწილებული თანხის ოდენობა; B არის 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდების მიხედვით დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადის თანხა; C არის 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდებში მიღებული წმინდა მოგების ოდენობა; D არის 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდებში მიღებული წმინდა მოგების ხარჯზე დივიდენდის სანაცვლოდ, საწარმოს მიერ პარტნიორისთვის გადაცემული ამ საწარმოს აქციების/წილის ღირებულება

როდის ამოქმედდება მოგების გადასახადთან დაკავშირებული ახალი რეგულაციები და შეეხება თუ არა 2016 წლის საანგარიშო პერიოდს?

- ▶ მოგების გადასახადთან დაკავშირებული ახალი რეგულაციები ამოქმედდება 2017 წლის 1 იანვრიდან.
- ▶ აღნიშნული რეგულაციები არ ეხება 2016 წლის საანგარიშო პერიოდს. შესაბამისად, გადასახადის გადამხდელი ვალდებულია, 2016 წლის საანგარიშო პერიოდზე 2017 წლის 1 აპრილამდე წარმოადგინოს მოგების გადასახადის დეკლარაცია, 2017 წლის 1 იანვრამდე მოქმედი წესითა და ფორმით.

☎ 2 299 299

✉ info@rs.ge

🌐 www.rs.ge



შემოსავლების
სამსახური

მოგების
გადასახადით
დაბეგრის
ახალი წესი

ურთიერთობა მარტივია

რა არის ახალი მოგების გადასახადი?

- ▶ ახალი მოგების გადასახადი, ე.წ. განაწილებული მოგების გადასახადი, წარმოადგენს გადასახადს, რომელსაც 2017 წლის 1 იანვრიდან გადაიხდიან გარკვეული კატეგორიის პირები.
- ▶ გადასახადის გადამხდელი არ გადაიხდის მოგების გადასახადს იმ შემთხვევაში, თუ არ გაანაწილებს მოგებას ან არ გასწევს ისეთ ხარჯს, რომელიც არ უკავშირდება მის ეკონომიკურ საქმიანობას.

ვინ არის ახალი მოგების გადასახადის გადამხდელი?

- ახალი მოგების გადასახადის გადამხდელია:
- ▶ საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული რეზიდენტი საწარმო (მათ შორის, შპს, სააქციო საზოგადოება და „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მქონე იურიდიული პირები);
 - ▶ არარეზიდენტი საწარმო, რომელიც საქართველოში საქმიანობას მუდმივი დანესებულების მეშვეობით ახორციელებს ან/და შემოსავალს იღებს საქართველოში არსებული წყაროდან.

ვის არ ეხება ახალი მოგების გადასახადი?

- ახალი მოგების გადასახადი არ ეხება:
- ▶ ორგანიზაციას (მათ შორის, სსიპ, ა(ა)იპ, საქველმოქმედო ორგანიზაცია);
 - ▶ „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული „არსებული ხელშეკრულებებიდან“ გამომდინარე, ნავთობისა და გაზის ოპერაციების შედეგად მოგების მიმღებ პირებს;



- ▶ არარეზიდენტი საწარმოს, რომლის საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული შემოსავალი, არ მიეკუთვნება მის მუდმივ დანესებულებას საქართველოში;
- ▶ ტოტალიზატორის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მომწყობ პირს;
- ▶ 2019 წლის 1 იანვრამდე - კომერციულ ბანკს, საკრედიტო კავშირს, სადაზღვევო ორგანიზაციას, მიკროსაფინანსო ორგანიზაციასა და ლომბარდს;
- ▶ ინდივიდუალურ მენარმეს;
- ▶ მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირს;
- ▶ მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მენარმე ფიზიკურ პირს;
- ▶ ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირს.

რა არის ახალი მოგების გადასახადით დაზღვევის ოზიქტი?

- ახალი მოგების გადასახადით დაბეგვრის ოზიქტია:
- ▶ განაწილებული მოგება - საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით, ფულადი ან არაფულადი ფორმით მოგების განაწილება (სსკ-ის 98¹ მუხლი);
 - ▶ განუწილი ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის - ხარჯი, რომელიც დოკუმენტურად დადასტურებული არ არის, ასევე ხარჯი, რომლის განუწილ მიზანი არ არის მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მიღება და სხვა (სსკ-ის 98² მუხლი);
 - ▶ უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების განევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა - საქონლის მიწოდება ან მომსახურების განევა, რომლის მიზანი არ არის მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მიღება (სსკ-ის 98³ მუხლი);
 - ▶ წარმომადგენლობითი ხარჯი, რომელიც განუწილია საგადასახადო კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით (სსკ-ის 98⁴ მუხლი).

რა შემთხვევაში წარმოეშობა პირს ახალი მოგების გადასახადის გადახდის ვალდებულება?

- ▶ პირს წარმოეშობა მოგების გადასახადის გადახდის ვალდებულება, მოგების გადასახადით დაბეგვრის ნებისმიერი ერთი-ერთი ოზიქტის არსებობის შემთხვევაში.

რამდენია ახალი მოგების გადასახადის განაკვეთი და როგორ იანგარიშება?

მოგების გადასახადის განაკვეთია 15 პროცენტი. მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა მიიღება შესაბამისი დაბეგვრის ოზიქტის მიხედვით განხორციელებული განაცემის/განუწილი ხარჯის ოდენობის 0,85-ზე გაყოფის შედეგად.

მოგების გადასახადი იანგარიშება შემდეგ ფორმულით:

$$\frac{\text{დაბეგვრის ოზიქტი}}{0,85} \times 15\%$$

რა არის ახალი მოგების გადასახადის საანგარიშო პერიოდი?

- ▶ ახალი მოგების გადასახადის საანგარიშო პერიოდია კალენდარული თვე.

რა ვადაში და როგორ წარედგინება საგადასახადო ორგანოს ახალი მოგების გადასახადის ყოველთვიური დეკლარაცია და როგორ გადაიხდება მოგების გადასახადი?

- ▶ მოგების გადასახადის ყოველთვიური დეკლარაცია, გადასახადის გადამხდელის მიერ, საგადასახადო ორგანოს წარედგინება ყოველთვიურად (ელექტრონული ფორმით), არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა და ამავე ვადაში გადაიხდება მოგების გადასახადი.
- ▶ მაგალითად, 2017 წლის იანვრის თვეში განხორციელებული ოპერაციების მიხედვით, დეკლარაცია საგადასახადო ორგანოს წარედგინება არაუგვიანეს 2017 წლის 15 თებერვლისა.